ევროკავშირი
საქართველოსთვის

საქართველოს
სახალხო დამცველი

unicef
for every child

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (UNCRC)

გაერო (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია) არის ორგანიზაცია, რომლის წევრებიც ქვეყნები არიან.

გაერო ადგენს წესებს, რომლებიც უნდა დაიცვან ქვეყნებმა.

ბავშვების სასიკეთოდ, გაერომ შექმნა ბავშვის უფლებების კონვენცია, სადაც დაიწერა, რა უფლებები აქვთ ბავშვებს და აღწერილია, რა უნდა გააკეთონ ქვეყნებმა იმისათვის, რომ დაიცვან ბავშვების უფლებები. ბავშვის უფლებათა კონვენცია საერთაშორისო დოკუმენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ სხვადასხვა ქვეყნები აღიარებენ მასში ჩამოთვლილ ბავშვის უფლებებს და იმას, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ მათ დასაცავად. ამ დროისთვის, ბავშვის უფლებების კონვენციას ეთანხმება ყველა ქვეყანა, მათ შორის, საქართველოც.

იმის შესამოწმებლად, ნადვილად იცავენ თუ არა ქვეყნები ბავშვის უფლებებს, გაერომ შექმნა ჯგუფი, რომელსაც კომიტეტი ჰქვია. ამ კომიტეტში, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, არის 18 ადამიანი, რომლებმაც ყველაზე კარგად იციან ბავშვის უფლებები.

თუ ბავშვი ფიქრობს, რომ მისი უფლებები დაირღვა და ქვეყანაში არაფერი გაკეთდა მის დასაცავად, შეუძლია, მისწეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს. კომიტეტის წევრები შეისწავლიან ბავშვის წერილს და გაარკვევენ, დაირღვა თუ არა მისი უფლებები. თუ მიიჩნევენ, რომ ბავშვის რომელიმე უფლება დაირღვა, ქვეყანას ეტყვიან, რა უნდა გააკეთოს ბავშვის უფლებების უკეთ დასაცავად.

ბავშვს შეუძლია, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს დამოუკიდებლად, ან ადვოკატის, ზრდასრულების დახმარებით მიმართოს.

მეტი ინფორმაციის გასაგებად, შეგიძლია, დაურეკო სახალხო დამცველს

1481

შეიქმნა სახალხო დამცველის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სახალხო დამცველი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ბავშვის უფლებებზე მომზადებული
ყველა მასალა შეგიძლია ნახო აქ